განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დანიშნული მოვალეობის შემსრულებლების უფლებამოსილების ვადის, რომელიც იწურება 2014 წლის 31 ოქტომბერს, გახანგრძლივებას 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ვადის გახანგრძლივების საჭიროება განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

კონკურსის მომზადება დაკავშირებულია გარკვეული ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებასთან, რაც მნიშვნელოვან დროს მოითხოვს. კერძოდ, მუნიციპალიტეტმა უნდა დაასრულოს შიდა სტრუქტურის ჩამოყალიბება და ყველა თანამდებობისთვის დაამტკიცოს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კონკურსი უნდა გამოცხადდეს საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ გვერდზე. ვებ გვერდზე ატვირთული ინფორმაცია უნდა გადამოწმებულ იქნეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ. კადიდატებს უნდა მიეცეთ არანაკლებ 10 დღიანი ვადა კონკურსზე განცხადებების შესატანად. კონკურსის სავალდებულო ეტაპის ტესტირების ჩატარების შემდეგ მუნიციპალიტეტების საკონკურსო-სააატესტაციო კომისიებმა უნდა უზრუნველყონ ტესტირების შედეგების საფუძველზე შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრების ჩატარება და მათი თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენა, რაც თავისმხრივ მნიშვნელოვან დროს მოითხოვს.

კონკურსანტთა დიდი რაოდენობა, არსებული ინფორმაციით, დაახლოებით 6000 თანამდებობა კონკურსის წესით შევსებას ექვემდებარება. „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2013 წლის 13 დეკემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, მუნიციპალიტეტებში მოხელის თანამდებობაზე დანიშნულ დროებით მოვალეობის შემსრულებლებს უფლებამოსილების ვადა ეწურებათ 2014 წლის 31 ოქტომბერს და მათი თანამდებობებზე გადანიშვნა დაუშვებელია.

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების საფუძველზე ზოგიერთ მუნიციპალიტეტში საჭირო გახდა გამგებლის/მერის არჩევნების მეორე ტურის ჩატარება. ამასთან, არჩევნების შედეგად ფუნქციონირება დაიწყო 14 ახალმა მუნიციპალიტეტმა, რომლებსაც საქმიანობის შიდა სამართლებრივი ბაზა არ გააჩნდათ. შესაბამისად მუნიციპალიტეტებს ესაჭიროებათ დრო საკარებულოს აპარატისა და გამგეობის/მერიის სტრუქტურის განსაზღვრისა და შესაბამისი თანამდებობებისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაწესებისათვის, რაც კონკურსის გამოცხადებისთვის აუცილებელი საფეხურებია. 31 ოქტომბრამდე ზოგიერთი მუნიციპალიტეტი ვერ ასწრებს ზემოთ აღნიშნული ღონისძიებების დასრულებას.

ამასთან, დამატებით დროს მოითხოვს კონკურსის სავალდებულო ეტაპის ტესტირების ჩატარების ორგანიზება. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 134' მუხლის შესაბამისად, 2015 წლის 1 ივლისამდე, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დასანიშნად, პირის მიერ გასავლელი კონკურსის და მოხელეთა ატესტაციის სავალდებულო ეტაპია

ტესტირება. შესაბამისად, ყველა თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის სავალდებულო ეტაპი იქნება ტესტირება, რომელსაც განახორციელებენ საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული დაწესებულებები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი. კონკურსის სხვა ეტაპების - საბუთების გადარჩევა, კონკურსანტთა გასაუბრება - ჩატარებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება საფრთხე, რომ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, განსაკუთრებით იქ, სადაც არჩევნების მეორე ტური იყო დანიშნული და ახლად შექმნილ მუნიციპალიტეტებში, 31 ოქტომბრამდე ვერ მოესწროს კონკურსისების დასრულება, რაც ავტომატურად გამოიწვევს ყველა მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების შეწყვეტას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დანიშნული მოვალეობის შემსრულებლების უფლებამოსილების ვადა მიზანშეწონილია გახანგრძლივდეს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღება მიზნად ისახავს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დანიშნული მოვალეობის შემსრულებლების უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივებას 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, რათა ყველა მუნიციპალიტეტმა შესძლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კონკურსების გამოცხადება და ჩატარება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონპროექტი ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის თანამდებობაზე დანიშნული მოვალეობის შემსრულებლების უფლებამოსილების ვადის, რომელიც იწურება 2014 წლის 31 ოქტომბერს, გახანგრძლივებას 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი ხარჯების გაღებას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშობა სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელების შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ)კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია დაწესებულება, ექსპერტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღია საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი გია ჟორჟოლიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი გია ჟორჟოლიანი.